ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲓᲐᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ 1891 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲝᲡ:

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის თავი საყოველთაოდ აცხადებს, რომ მესამე რიგის ხმოსანთა ასარჩევად ქალაქის საბჭოსათვის ოთხის წლით 1891—1894 წლამდე, დანიშნულია კრება ამომრჩეველთა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრის დარბაზში იმ კრების განსაგრძობად, რომელიც 18 ნოემბერს კანონიერად დაიწყო.

კრება დაიწყება სწორედ დილის 9 საათზე.

კრებაზე შეუძლიან დაესწრნენ ყველანი, ვინც 18 ნოემბრისაზე იყვნენ და საზოგადოდ ყველა მესამე რიგის ამომრჩეველნი.

საგანი კრების განხილვისა: 1) დასახელება კანდიდატებისა ბარათებით. ამ ბარათების მიღება იქნება მხოლოდ დილის 12 საათამდე.

და 2) შედგენა კანდიდატების სიისა იმ ზედ მიყოლებით, თუ ვინ მიიღო უფრო მომეტებული ხმა ბარათებით.

რაიცა შეეხება კანდიდატების ამორჩევას კენჭის ყრით, იგი კენჭის ყრა ზემოხსენებულის წესითვე მოხდება კვირას, 2 დეკემბერს; ამის შესახებ კიდევ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ის ბილეთები, რომელნიც დარიგებული იყო 18 ნომბრის კრებაზე შესასვლელად გაუქმებული იქნება.

ხოლო, რომ უფრო გაუადვილდეთ საქმე ბ-ნთ ამომრჩეველთ იმათის უფლების შემოწმების დროს ახალის ბილეთის მისაღებად, ეს ბილეთები მიეცემათ, როგორც თეატრის დარბაზის შესავალში ისე წინდაწინაც, სახელდობრ 22 ნოემბრიდგან 24-დე ქალაქის გამგეობაში დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—1)

რადგან ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობას მოუვიდა ამბავი გაზ. „Правительственный Вѣстникъ“-ის რედაქციისაგან, რომ თქვენს უკანასკნელს განცხადებას მამულების გა-

სყიდვის შესახებ 30 ნოემბერზე ადრე ვერ დავბეჭდავთო, ამიტომ ზემოხსენებულის ბანკის მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ დეკემბრის 14 დანიშნული ვაჭრობა მამულების გასყიდვისათვის, როგორც იყო გამოცხადებული გაზ. „Кавказъ“-ის 297, 298 და 299 ნომრებში და გაზ. „ივერიის“ 240, 241 და 242, გადადებულ იქმნა ამ წლის დეკემბრის 31-სთვის. (3—1)

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

სამშაბათს, 27 ნოემბერს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

### მ ტ ა რ ვ ა ლ ი

ისტორიული ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. ი. ლაზარიშვილისა.

| | |
|---|---|
| მოქმედება I ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲑᲝᲠᲝᲢᲔ | მოქმედება II ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ |
| მოქმედება III ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲝᲗᲐᲘ | მოქმედება IV სიკვდილი მტარვალისა |

მოქმედება V

### ᲡᲐᲚᲠᲩᲝᲑᲔᲚᲐ

მოქ. სწარმოებს 1770—1775 წლებში

ახალი დეკორაციები და ტანთსაცმელი

მესამე და მეხუთე მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 60 კაცისა.

**მონაწილენი:** ქ-ნი გაბუნია-ცაგარელისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ციციშვილისა: ბ-ნნი სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათირიშვილი, გარეჯელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, ამ თთვის 21, შუადღისას, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი შერემეტეევი თავისის მეუღლით გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც, როგორც ისმის, დარჩება იანვრამდე. გენერალ შერემეტიევს თან გაჰყვნენ პეტერბურგში კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელიარიის დირექტორი პოლკოვნიკი შატილოვი და ორი უფროსი ადიუტანტი, გრაფი შტენბოკი და ბ-ნი კრუზენშტეინი.

*** მისი უმაღლესობა გენერალ მაიორი პრინცი ოლდენბურგისა გუშინ-წინ ტფილისში ჩამობრძანდა ქუთაისიდგან.

*** ტფილისის ვიცე-გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ა. ი. ჩაიკოვსკი ამ თთვის 20 პეტერბურგს გაემგზავრა.

*** მის იმპერატორებითი უმაღლესობა პრინცი ლიუდოვიკი ნაპოლეონი გუშინ-წინ ყარაიაზში გაემგზავრა სანადიროდ.

*** კავკასიისა და იმიერ კასპიის მხრის სააქციზო გარდასახადის მმართველობის უფროსი ტაინი სოვეტნიკი ს. ე. მარკოვი სარევიზიოდ კახეთში გაემგზავრა.

*** გენერალ ლეიტენანტი ანნენკოვი, იმიერ კასპიის სამხედრო რკინის გზის გამყვანი, რომელიც ამ თთვის 19 ტფილისიდგან პეტერბურგს გაემგზავრა, როგორც ისმის სახელმწიფო რკინის გზების მმართველობის მიერ იქმნა დაბარებულიო. დარწმუნებით ამბობენ, რომ ციმბირის რკინის გზის კეთებაც გენერალ ანნენკოვს უნდა მიანდონო.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობამ მოსკოვის მერვე სარკინის გზო კრებაზე გაჰგზავნა ბ-ნი პუშეჩნიკოვი, ამიერ კავკასიის რკინის გზისა და შენობათა შეკეთების უფროსი, რომელსაც ჩვენის რკინის გზის მმართველობამ მიანდო ტარიფის დაკლების შესახებ შუამდგომლობაც.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში წლიური აქტი დანიშნულია დღეისთვის.

*** კავკასიის სამკურნალო მმართველობამ გაჰგზავნა ბერლინს ჰლექის წამლობის შესასწავლად უფროსი ორდინატორი ტფილისის საქალაქო საავადმყოფოსი ბ-ნი გაუდელინი. გაუდელინი ვაიგზავნა სამის თთვის ვადით და მიეცა გზის ხარჯად 900 მან. იმ ფულიდამ, რომელიც შესწირა ამ საავადმყოფოს განსვენებულმა მკურნალმა ლიბაუმ.

*** ტფილისის საქალაქო მმართველობამ გაგზავნა ამავე აზრით ბერლინს მკურნალი ავთანდილოვი, დირექტორი ტფილისის სამკურნალოსი, ისიც სამის თთვის ვადითა და დაუნიშნა ხარჯად 1000 მან. იმის მაგიერ მართვა სამკურნალოსი ჩაჰბარდა დროებით მკურნალს ა. ი. ვართანოვს.

*** გორის მაზრის უფროსის თანაშემწე, ბ-ნი მელიქ-ადამოვი, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწედ, ხოლო იმის ალაგას დაინიშნა სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწე, ბ-ნი ი. ჩიქოვანი.

*** თავმჯდომარე მომავალ დედათა სკოლის კომიტეტისა, კნ. მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: 14 ივლისს, სოფელს ახალქალაქში ზემოხსენებულის სკოლის სასარგებლოდ გამართულ იქმნა წარმოდგენა კნ. მაკრინე იოსების ასულის წერეთლისა და კნ. ელისაბედ ალექსანდრეს ასულის თარხან-მოურავის შემწეობით. ხარჯ-გარედ დარჩა რვა თუმანი და ექვსი მანათი, რომელიც მიემატა

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ᲐᲡᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ

III*)

ტაიბი.

ორს დღეს შემდეგ დილით მადელინამ დაინახა, რომ სახელოსნოში შევიდა ის დედაკაცი, რომელსაც ყველაზე ძალიან მოეწონა იგი; დღეს ეს დედაკაცი სადად იყო ჩაცმული და ხელში რაღაც ბოღჩა ეჭირა. შემოსვლისათანავე დაჯდა სავარძელზე, ვენსანი იქვე შორი-ახლო იდგა. დედაკაცმა მიაწოდა ბოღჩა ვენსანსა და უთხრა:

— სამუშაო მოგიტანე და დარწმუნებულიც ვარ, არ დამემდურები...

— ფქვი არა მაქვს...

დედაკაცმა ეხლა შენიშნა კუთხეში მდგომარე მადელინა.

— ჩემთან მოდი, ჩემო კარგო! რამდენის წლისა ხარ?

— ცამეტის წლისა.

— სწორედ რომ ლამაზია! ეს ქალი თქვენი ძმისწულია, ქ-ნო ვენსან?

— არა ბატონო...

— მე ეხლა აღარა მაქვს-რა შესაკერი, გააწყვეტინა სიტყვა დედაკაცმა: ოქრომჭედელმა პოპემ ყველა ჩვენი ძვირფასი ნივთი იყიდა და თან სურათების მყიდველიც გვიშოვნა. ეხლა ჩემი ქმარი ჩემს სურათსა ხატავს... ის მონადირე დიანადა მხატავს, მე კიდევ მეომართა ღმერთად ვხატავ ჩემს ქმარს. ღმერთო ჩემო! განა ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩვენ-ჩვენის შრომით მოგვიხდებოდა ცხოვრება და გრაფი მე შემიყვარებდა.

— განა წინად კი არ უყვარდით?

— წინად? რას ამბობთ, რიგიანადაც არ შემოუხედნია ჩემთვის! ეხლაკი სულ ჩემს ლოლიაობასა და სიამოვნებაშია! კიდევ კარგი, რომ ძლიერ ღარიბად არა ვცხოვრობთ! რაკი ჟანჟაკ რუსომ ჩაუნერგა ჩვენს მშობლებს ის აზრი, რომ ჩვენთვის რაიმე ხელობა ესწავლებინათ, ხელობა გვშველის და ვცხოვრობთ ესე საშუალოდ.

კომი წიგნების ყდების მკეთებელია, ფეიენი ცეკვის მასწავლებლად არის, შავანი მენახშირეობს, ბრესი-კი მზარეულად არის. დედამ შვილებს საქმე გაგვიჩინა და თითონაც მარაოების კეთებით ჰშოულობს საზრდოს. კარგს დღეში არა ვართ, მაგრამ ჩვენზე ცუდს ყოფაში უფრო ბევრია. მომეტებულად ისინი არიან ცუდს მდგომარეობაში, ვინც პარიჟშივე დარჩა. ამ ლაპარაკში ჯიბიდამ გაზეთი ამოიღო.

— კიდევ ცუდი ამბები ისმის?

— საშინელი! დღევანდელ გაზეთის დახოცილთა სიაში პირველად მარკიზი კომრევალი და იმის მეუღლე სწერია... კიდევ სხვებიც უნდა დაესახელებინა, მაგრამ უეცარმა წივილმა შეაყენა. მადელინამ საშინლად დაიწივლა და გულ-შეწუხებული დაეცა იატაკზე.

კარგა თთვეები გავიდა ამ უსიამოვნო შემთხვევას შემდეგ. მადელინა შავებშია... ეხლა უფრო გამაღლდა და ელ-ფერი უწინდელი აღარა ჰქონდა... იმის ყოველთვის მოცინარი და მოღიმარი სახე ეხლა დაღონებულ-დაჰფიქრებულია... თვალები მოსწყლიანებია და თავ-ჩაღუნული მწუხარე ფიქრებშია გართული... ნათლად ეტყობა, რომ საწყალს უდროოდ დაობლება საშინლად აწუხებს. ეხლა მადელინა ვენსანის ნოქრად არის, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე გამოიწურთნება და კარგად შეისწავლის ხელობას. დომინიკა უფრო შეწუხებულია, საშინლად სწუხს, მადელინას ნემსით დაჩხვლეტილს თითებს რომ ჰხედავს. საშინლად უნდოდა უარი ეთქმევინებინა ამ ხელობაზე, მაგრამ მადელინა არა სთანხმდებოდა.

მოთმინებიდამ გამოსულმა მადელინამ ერთხელ დომინიკას უთხრა, ყველანი და ჩვენც იმის იმედში ვართ, რომ აგერ არეულობა დაწყნარდება და შინ დავბრუნდებითო... ვინ იცის ჯერ არეულობა როდის გათავდება, ან თუნდა გათავდეს კიდეც, განა-ღა დაგვიბრუნებენ ჩვენს მამულ-დედულს? რომ არ დაგვიბრუნონ, მაშინ ხომ უნდა ვიშრომოთ, რომ მშივრები არ დავრჩეთ... გავიზრდები, კარგად მეცოდინება ჭრა-კერვა, შევიძლებ საკუთრად მუშაობასა და შენ მოგთხოვდები...

დომინიკა საშინლად გაწითლდა.

— ნუკი სჯავრობ... გაგეხუმრე... მეც ვიცი, რომ ეს შეუძლებელია... მაგრამ მაინც ნებაუნებლიედ უნდა ვიშრომო.

დომინიკა მადელინას უშლიდა შრომას, მაგრამ თითონ-კი, რაც მოჰხვდებოდა, ყველაფერს ჰკიდებდა ხელსა და სცდილობდა ისეთი რამ შეესწავლა, რომ ბევრი ფულის შოვნა შესძლებოდა.

მომეტებულს დროს დომინიკა მკერვალ ფრანგის საქმეებს ანდომებდა. ამ საქმეებში ინგლისური ენაც შეისწავლა და წერა-კითხვაც. ვენსანის მდგმურმა მღვდელმა შეიყვარა დომინიკა და ასწავლა წერა-კითხვა. რაკი შენიშნა, რომ ნიჭიერი ბავშვია, სხვა-და-სხვა წიგნებს აკითხებდა და თავისს შესანიშნავს კაპადოკიის ისტორიას თეთრად აწერინებდა. ზამთარი უცებ დადგა და უცებვე გაიპარა. კვლავ გამოზაფხულდა. დომინიკა მთლად გამოიცვალა, სიმაღლე-სისრულე იმატა და ვაჟკაცს დაემსგავსა.

დღეს აზნაურის ვალერინის დღეობა იყო. დილიდამვე ქ. ვენსანი ფაციფუცობდა და ვახშმის მოგონებ...

*) იხ. „ივერია“ №№ 248, და 249.

სკოლის ფონდს. კომიტეტის სახელით დიდს მადლობას ვუცხადებ წარმოდგენის გამმართველთ ამ შეწირულობისათვის.

*** **საინგილო:** სოფ. კაკის დედათა სამრევლო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ქ-ბ-ნი მახარაძისა. ამ სკოლაში დღეს 20 მოწაფე—ქალი სწავლობს. სოფ. ალიბეგლოს საეაქო სამრევლო სკოლაში 19 მოწაფეა, ხოლო ყორაღნისაში 16. ეს სკოლები ამ გიორგობისთვის დამდეგს დაათვალიერა ინსპექტორმა ლეონიდმა და კმაყოფილი დარჩა. ლეონიდმავე გამოიძია აქაურ ქურმუხის საყდრის ასაგებლად დაარსებულ კომისიის წევრთა შორის ამტყდარი უსიამოვნება და დაბრუნდა ტფილისს. ძალიან კარგი იქნება ჩვენს მხარეში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის, ეს უსიამოვნება მშვიდობიანად გათავდეს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის-გზის მმართველობას ერთი ფრიად სასიამოვნო საქმე განუზრახავს. სამი ვაგონი დუქნად უნდა გადააქციოს და ბაქოსა და ტფილისს შუა ატაროს, რომ სადგურზე მოსამსახურეებს შეეძლოთ, ყოველ დღე იყიდონ ხოლმე ყოველივე სანოვაგე იაფ-ფასად. რკინის-გზის მმართველობა ვაგონ-დუქნებს უფასოდ უთმობს იჯარით ამღებს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ყველა სადგურზე იმ ფასად ჰყიდოს სანოვაგე, რა ფასითაც ტფილისსა და ბაქოში შეიძლება იყიდოს კაცმა. თუ რაიმე სანოვაგე ტფილისსა და ბაქოში უფრო ძვირია, ვიდრე სხვა რომელსამე სადგურზე, მედუქნე ვალდებულია იმ ფასად ჰყიდოს, რა ფასითაც იმ სადგურზე იყიდება; მაგალითად, ხილეულობა განჯის კვალობამე უნდა ჰყიდოს, თევზეულობა—აჯი-ქაბულისაზე და სხვა... დუქან-ვაგონები მომავალის წლის 1 იანვრიდგან დაიწყებს მუშაობას. იჯარით აღების მსურველს დაწერილებით ყოველივე პირობა შეუძლიან ან თვით მმართველობაში შეიტყოს და ან კიდევ განცხადებიდგან, რომელიც გამგეობამ ტფილისის გაზეთებში დაჰბეჭდა (მაგ. „Нов. Обоз.“ № 2382).

*** 20 ნოემბერს, ღამის ათს საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე სათადარიგო ჯარის-კაცის მიხეილ კოსტრიუკოვის სადგურთან იპოვნეს სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი კოსტრიუკოვმა აიყვანა ასაზრდელად.

## ქართული თეატრი

ცოდვის შვილი, დრამა 3 მოქმედ. და 4 სურათად, თხზ. გ. იოსელიანისა.

ახირებული ბედი დაჰყვა წრეულს ჩვენს თეატრს: უგულმართად დაწყებული სეზონი ბოლოს და ბოლოს ისე გაუხამსდა, რომ მისი სენი ახლად დაწერილს პიესებსაც-კი გადაედო. დიდის ამბით გამოაცხადებენ ხოლმე, ახალს პიესასა ვთამაშობთო, მისვალ ცნობის-მოყვარეობა აღძრული, ჰნახავ და იმის მეტი აღარა დაგრჩენია-რა, რომ გულ-ჩათუთქვით სთქვა: ძველიც-კი ღმერთმა შეაჩვენა მაგეთი და ახლისთვის ხომ, წინ წყალისა და უკან—მეწყერის მეტი, სხვა ყველაფერი აფუსუსიაო.

ახალს, წარსულ სამშაბათს წარმოდგენილს, დრამაში ბატონ-ყმობის დროა აწერილი (არ ვიცით, რაზედ გახსენებიათ ეს ძველი ამბავი?): ბატონს გლეხის ქალი გრიტია მოსწონს, ის გრიტია, რომელიც ამ ბატონის უკანონო შვილს უყვარს და რომლის შერთვაც გადაწყვეტილი აქვს. გამწვავებული ბატონი თავისის სურვილის მეურჩე ქალის მამასა ჰკლავს და უნდა ქალი მოიტაცოს. ამ უბედურების გამო გრიტია ავად ხდება და კვდება კიდეც. იმის მოსატაცებლად მოსულს ბატონს მანუჩარს უკანონო შვილი დაუხვდება და მოჰკლავს. აი მთელი შინაარსი პიესისა. ეს უბრალო მასალაც ისე უგერგილად, ისე უშნოდ არის მოხმარებული და ახუხულავებული, რომ შიგ არა ეკარა-რა, რახა-რუხი დიდი ჰქონდაო, რომ იტყვიან, სწორედ ის არის.

ერთის სიტყვით, ავტორს სულ უბრალო რეცეპტი უხმარია თავის დრამის (sic!) გამოსაცხობად: ორიოდე მონოლოგი მოუღია, სამიოდე დიალოგი, ერთი დანგი მწუხარება, ათი დრამა თოფის წამალი, ერთი მკვდარი კურდღელი, ორი მისხალი სიყვარული, აურევია ერთად, არც-კი გაუცრია, ისე მოუზელია და გაუფუებლად თონეში ჩაუკრავს ერთ გრძელ ლავაშად. მერე კუტად ქცეული და ნაცარში ამოგანგლული ცომი ამოუღია, სამ ნაჭრად გაუყვია, მესამე ნაჭერიც ორად გაუნაწილებია, რომ ორი სურათი გამოვიდესო, და მზეზედ გამოუფენია ქვეყნის დასანახვებლად. არ ვიცით, ამ უმცხვარ კუტის წარმოდგენისათვის რა გადაახდევინეს დამწერს არტისტებმა, ის-კი აშკარაა, რომ სწორედ ცუდი სამსახური გაუწიეს და ვერაფერად ასახელეს.

ერთის გოჯის ოდენი ალაგი არ არის მთელს სამს მოქმედებასა და ოთხს სურათში, რომ მაყურებელ-მსმენელმა თვალი და ყური მოასვენოს, სიამოვნება იგრძნოს და უხამსის პიესის გაგონებით უგულმა მობრუნებული პირი წაღმა მიიქციოს. მთელს ამოდენა დიალოგ-მონოლოგებში ერთის ბეწვის სიმსხო ღირსება... უკაცრავად, პიესას ორი ღირსება აქვს: ერთი ისა, რომ მეტად პაწია, კუდ-მოკვეცილი მოქმედებებია და ცხრა საბნის სიგრძეზედ არ არის გაჭიმული; მეორე... მეორე ისა, რომ „ცოდვის შვილი“ ჰქვიან. დამწერს მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი მახვილ გონიერება ამ სახელ-წოდების მოგონებაზედ დაუხარჯავს და კარგი სახელიც მოსვლია: მართლაც რომ ცოდვის შვილია ეს დუხჭირად შექმნილი დრამა, შეცდომის გამოკვესებული, და ეს ორიოდე სიტყვაც ცოდვა-ბრალია იმაზედ დასახარჯავად, ცოდვა ბრალია, რადგან ჩემთვის რომ შემოუმლია ვისმეს, იმ ერთის კურდღლის სიცოცხლედაც არ ვიყიდდი, რომელსაც ამ პიესაში ჰხდიან სულს.

მოთამაშეებზედ რა ითქმის იქ, სადაც თვით სათამაშო ასეთია? გვებრალება მხოლოდ ბ-ნი შათირიშვილი, რომელსაც ამ საღამოს შედარებით არა უჭირდა-რა, გვებრალება, რომ თავისი ტყვია-წამალი უდროო-დროს აფეთქა და ამითი, „ურიას ერთი დღე ჰხვდა და ისიც შაბათიო“, რომ იტყვიან, სწორედ ისე დაემართა.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ქართულ დრამატიულ კომიტეტის მიმართ: რას აკეთებენ, რატომ არ გამოიძიებენ და არ გვეტყვიან, საკვირაოდ დანიშნული ქართული წარმოდგენა რამ გაარუსა, რუსულად რამ აქცია? ნუ თუ ქართული სცენა ასე ბედის ანაბრობაზედ უნდა იყოს მიგდებული და ყურის-მგდებელი და პატრონი არავინა ჰყავდეს?!.

მანოგლიძე

## სახელდახელო

(ცხად-ასალები—წყალ-წასალები ამბები)

გვიახლოვდება დეკემბერი—ეს უკანასკნელი ნუგბარი ამ წლისა და გადავკოტრიალდებით მე-1891 წელიწადში. აბა ერთი ნესტარი გავუტაროთ მიმავალს ბებრუცანას, თუ ბებრუხანას, რა მოიტანა თორმეტმა თთვემ წარმავალის წლისამ? მეთორმეტე თთვე მაგდენად არაფერს ანგარიშშია ჩასაგდები, რადგან სადაც თერთმეტი წყალს გაჰყვა, იქ მეთორმეტეს იმის მეტი რაღა დარჩენია, რომ უკან გაედევნოს და თითონაც იმ დაივიწყების უფსკრულში ჩაიჩეხოს, სადაც მისმა თერთმეტმა მეგვარეულემ ჰპოვა სავანე საუკუნოდ განსვენებისა.

მოგეხსენებათ, რომ ყველაფერი საზღვარ-გარედ იწყება, იქ რომ წლის დამდეგს უკუღმა პირჯვრის წერას შემოიღებენ, აქ წლის დამლევს ძლივს ჩამოატანს ხოლმე ის ჩვეულება და გაბატონდება. აწინდელ ქვეყნის ბაბილონს პარიჟში შესანიშნავი ამბავი ბულანჟეს ბედი და იღბალი იყო, იგორა ამ დევ-გმირის ბედის გორგალმა, იგორა, ბოლოს წამოედო წვერით რაღაცას და დაიშალა. მას შემდეგ დაეკვებათ ასეთი ბედი ყველა ბულანჟისებურ ბუმბერაზ, თუ არა ბუმბერაზ, შვიდ-თავიან, თუ ერთის თავისაც-კი არ მქონე დევ-გმირებსა და დევ-გმირუკებს და მოდიან და მოსტირიან თავისს ბედს. ამ დევ-გმირების ბედის უკუღმა დატრიალებამ მოაწია ჩვენს მცონარა გმირებით სავსე კურთხეულს საქართველოშიაც და ქუთაისიდგან დაწყებულმა შლიპინი შიგ დედა-ქალაქში ამოადინა. ამ მხრით პირველობა, ვაღიარებთ, ქუთაისს უნდა დაეთმოს.

ჩვენ კი დაგვითმია, მაგრამ არა გვგონია, რომ ჩვენის დედა-ქალაქის ბუმბერაზებმა გამოიჩინონ ასეთი სულგრძელება. არა, საწყენიც-კია, მართალი რომ სთქვას კაცმა: განა ქუთაისი ტფილისს შეედრება, პატარამ დიდს რად უნდა წაუსწროს წინ, რა რიგი და წესია! აი კიდეც ამიტომ ზანტმა ტფილისმა არაფრად იჭაშნიკა მკვირცხლ ქუთაისის სულ-სწრაფობა, შეიშმუშნა მხრები და დაჟინებით გაჰკივის:

— შენი სეირი ხომ მაჩვენე და მთელი ორი კვირა შენს ცქერაში ამომალამებინე თვალები, აბა ახლა მე მიყურე, რა კამარა შევკრა ბულანჟესებურ დევ-გმირობისა, რა მიჭკა-მალაყებს გადავიდე და ერთს თავზედ როგორ წამოვიკოხტაჰჭიმო ცხრა-თავიან დევის ცხრავე ჩაჩ-მუზარადიო!

ეს ბატონი დევ-გმირები, თუ შეგნიშნავთ, უცხოეთისაცა და ჩვენებურებიც, ძალიანა ჰგვანან ერთმანეთს, ერთ გვარად აცემინებენ ერთხელ ცხვირს, ერთ გვარად ჩაიკოჰლებენ, ეს ცხვირის დაცემინება ერთ გვარ უხეირობად გადაექცევათ და ერთ რიგად მიატეხენ ხოლმე კისერს ერთსა და იმავე „მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ლამისაო“-ს. გადევ-გმირებამდე რომ შეჰხედო, რა უჭირს ყოველს მათგანს: პატიოსანი კაცია, წინ ცხვირი აქვს, უკან—კეფა, ქოჩორზედ კიდევ—ჩვენებურადვე ქუდი წამომხობილი, ჩვენებურადვე წაღმა-უკუღმა ჰხმარობს მამა-პაპურს გამარჯობა-გაგიმარჯოს, ჩვენებურადვე დაძერება ცასა და ქვეყანას შუა გათხრილს ხვრელში. ერთის სიტყვით, ჩვენიანია და საუკუღმართოს ნიშან-წყალი არა აღევს-რა. ხომ ასეა?

გაივლის ხანი, მოგეწონება, გაადევგმირებ, თავზედ ბუმბერაზის ჯილას დაადგამ, ფეხებზედ ოქროს დეზებიანს ოქროსავე დათვალ-მარგალიტებულს ქალამანს ამოაკრავ, მოწონებით მხარზედ ხელს დაჰკრავ და შესძახებ: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ, მუხლი მოიბი მგლისაო!“ მოხდება ეს ამბავი და იმის ჩვენიანობასაც ბოლო მოეღება, გაუკუღმართდება, გასივდება, გაბუედება, თავი მხრებზედ აღარ ეტევა, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა—ქალამნად, მთელი ქვეყანა ურემი ჰგონია და თავისი თავი კიდევ ის მახარე, რომელზედაც ნათქვამია: „ჰპატრონბდი, მამავ, ურემსა, დაწექ და დაიძინეო!“ სულ გადაავიწყდებათ ხოლმე, რომ თუ ეს დიდი პატივი მაღირსეს, მეურმეობა მომანდეს და ხელში სახრე მომაჩეჩეს წინ და უკან საქნევად, იმიტომ-კი არა, რომ დავწვე, დავიძინო და ან კიდევ გამოფხიზლებისას უგზო-უკვლოდ ვატარო ხარებიცა და ხარის საზიდიც; არა, ხარიც სხვისია, ურემიცა და ჩემდა თავად, თუ სამართალია, ერთს ტაბიკსაც ვერ დავეპატრონები. თუ კარგი მეურმეობა არ გავწიე, უკუღმა წამოვაჯექ უჯათობის ჯორს

---

ნა, დღეობისათვის რით უნდა ვასიამოვნო ვალერიანიო. დომინიკამ თითქოს შეამჩნია გაჭირება და მორცხვად უთხრა:

— კარგი არ იქნება, რომ სადილისთვის ხინკლები გავაკეთოთ! დედაჩემმა მეტად კარგის ხინკლების კეთება იცოდა.

— მერე, მე რომ არ ვიცი ხინკლის გაკეთება!

— მე ვიცი!

დომინიკას მისცეს ფქვილი, ერბო და დაკეპილი ხორცი... სადილზე ხინკლები საშინლად მოეწონათ... ვალერგინი საშინელი მჭამელი კაცი იყო; სიამოვნებისაგან რაც შეეძლო აქებდა და ჰკოცნიდა დომინიკას.

— არა, ასეთი მშვენიერი საჭმლის კაკეთება გცოდნია და ჰმალავდი? ინგლისელებმა რომ იგემონ ეს ხინკალი, სწორედ კაი ფულს მოიგებ

ხვალვე ვცდი ბედს! წამოიძახა გახარებულმა დომინიკამ.

მეორე დღეს დომინიკას მართლა ახლად მოხარშულ ხინკალით სავსე ტაბაკი ედგა თავზე, ქუჩა-ქუჩა დადიოდა და თან იძახოდა:

— ახალი ხინკალი! საფრანგეთის ხინკალი! იმის ნოყიერს ხინკალს მართლაც სულ მცირე ხანში აუარებელი მუშტარი დაედო.

დომინიკამ ყველგან დაიწყო სიარული და არა ერთს და ორს ახალს სანახაობას წააწყდებოდა ხოლმე. ხშირად პარლამენში მომხდარ დუელის მოწმეც იყო.

დომინიკას ამ ვაჭრობამ ბევრი რამ გააცნო ინგლისური. სხვადასხვა ხალხის ნახვასთან იმათი ზნე-ჩვეულებაც-კი შეისწავლა. საღამოთი ყოველთვის ცალიერის ტაბაკითა და სავსე ქისით დაბრუნდებოდა ხოლმე შინ. ცოტა ხანში დომინიკამ იმდენი ფული შეიძინა, რომ შეეძლო თავისი და მადლინას შესანახი ფული მიეცა ქ. ვენსანისთვის.

— ვენსანი დიდს უარზე დადგა.

— მე მიყვარს და წესადაცა მაქვს, რომ თქვენებრივს მდგომარეობაში მყოფნი უფასოდ შევიფარო ხოლმეო.

— დიდად გმადლობთ, მაგრამ გთხოვთ აიღოთ, რაც-კი ჩვენზე დაგხარჯვიათ, ეუბნებოდა დომინიკა.

ერთს საღამოს დომინიკამ შენიშნა, რომ პეგი ტიროდა და ქ. ვენსანი-კი ლოგინში იწვა. მიზეზი ჰკითხა პეგის.

— წარმოიდგინეთო, უპასუხა პეგიმ: ბ-ნი ბოში თურმე რესპუბლიკელი ყოფილა, მეფისა და კეთილის ხალხის მტერი და აქამდე-კი ჰმალავდა ამ გარემოებას.

— ბოში? რას ამბობ!

— დიაღ, ბოში! ვალეგინიმ გაამხილა...

ქალბატონს ელდასავით ეცა ეს ამბავი და ავად გახდა. ბ-ნი ბოში თითონვე გაიპარა იქიდგან.

დომინიკა შევიდა ქ-ნ ვენსანთან, რომელმაც, დაინახა თუ არა ყმაწვილი კაცი, მაშინვე წუწუნს მოჰყვა.

— განა შესაძლებელი იყო, განა ბოშისაგან ამას მოველოდი, იმ კაცისაგან, რომელსაც მთელი ათი წელიწადი ვინახავდი, ვუვლიდი და კინაღამ ქმრადაც არ შევირთე. იმას შევწირე ჩემი პატიოსანი სახელი და ჰნახეთ რა მიყო!..

მადლინასაგან უფრო დაწვრილებით შეიტყო დომინიკამ, რა ამბავიც მომხდარიყო. სადილზე ვალერინი გულ-მოსული ყოფილიყო საფრანგეთში რესპუბლიკელების გამარჯვებით, აელო ჭიქა და ბოშისა და მოროს დამარცხების სადღეგრძელო დალია.

ბოშს უარი ეთქვა, ამ სადღეგრძელოს არ დავლევო და გაჯავრებით წამოეძახნა:

— განა სამარცხვინო არ არის ასეთის სადღეგრძელოების წარმოთქმაო,

— ბ ნო ბოშო! ნუ თუ თქვენც მეამბოხეთა მხარი გიჭირავთ... ჩვენ-კი ასე თამამად ვიყავით თქვენთან... ერთს გაზეთში ამოვიკითხე, რომ რევოლიუციის კომიტეტს ახალი ექსპედიცია მოუმზადებია და აქეთკენ გზავნისო. ეს ამბავი მე თითონ გიამბეთ... განა თქვენ ჯაშუშობთ და ჩვენს მტრებს ატყობინებთ ყველაფერს?

ვინ მოსთვლის, რა არ უთხრეს ბოშსა და რა არ უსაყვედურეს. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ ქ-ნ ვენსანს გამოუცხადა აზნაურმა, ამასთან ერთად ცხოვრება აღარ შემიძლიან და დღესვე მთავრობას გამოვუცხადებ, რომ ასეთი მამულის მოღალატე მოტყუებით შემოგვეხიზნაო.

არ ვიცი ტყუილად დაემუქრნენ, თუ მართლა, ბოში კი საშინლად შეშინდა და იმ დღესვე სადღაც წავიდა.

ამ დღიდამ, როცა-კი ბოშზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ვენსანი საშინლად ოხრავდა ხოლმე... პეგი ხომ ისე არას იტყოდა, რომ ზედ არ დაეტანებინა: ეს ამბავი ბოშის წასვლას შემდეგ მოხდაო,

ამ ამბავმა ვენსანის ოჯახის ისტორიაში ისეთივე ალაგი დაიჭირა, როგორი ალაგიც ინგლისის დღიურში ხალხის შეთქმულობის აღმოჩენას უჭირავს.

თუმცა დომინიკას არაფრად ესიამოვნა თავის ძველის მეგობარის განდევნა, მაინც დაჰყვა ქ-ნ ვენსანის თხოვნასა და იმის ოთახში თითონ დადგა ეხლა.

ეხლა დომინიკა სულ სხვა კაცი იყო და შესაფერი პატივისცემაც დაიმსახურა შინაც და გარედაც. პატივსა სცემდენ იმის ხასიათის სიმტკიცესა და სილარიბესთან მხნედ გამკლავებას, მით უმეტეს, რომ ამ ბრძოლით ერთი ორიოდე გროშიც ჰქონდა მოგებულ-მოპოვებული.

(შემდეგი იქნება)

და მხოლოდ ის-ღა ვიღიღინე: „მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ღამისაო!“, ამაკრეფინებენ გუდა-ნაბადსა და უკულმართად მაცალს საუკულმართო კუნძულზე ამომაყოფინებენ თავსაო.

ეს გულ-მავიწყობა, თუ გნებავთ მომწონეობა, განებივრება, გათვით-მნებლობაა იმის მიზეზი, რომ ამ გვარ გმირების კოკა ყოველთვის ვერა ჰზიდავს ხოლმე წყალს და დღეს იქნება, თუ ხვალ საწყლე კოკას წყალზედვე მოემტვრევა ყური. სწორედ ასეთი საქმე დაემართა გამგეობასაც. გამგეობამ ბულანჟეობა მოინდომა და არჩევანების ცომს თითონვე ჰზელდა, თითონვე აფუებდა და თავისის ხელითვე აკრავდა თორნეში. ასე იყო თხუთმეტს წელს, მაგრამ წრეულს ბედმა უღალატა, აირია მონასტერი და გამგეობის სანატრელი ხაბაზობა არავინ მოიწონა. ეკითხებიან ახლა: ბატონო, რაზედ წიწმატობდი, რად გაიქეცი არჩევანებიდგან, რა გინდოდა, დეე ის ყუთები ანბანისებურად, ან წილის ყრის კვალობაზედ დაელაგებინათო? და რას უპასუხებს ამორჩეული ამომრჩევლებს, მეურმედ დაყენებული ხარ-ურმის პატრონს:

— მე ვარ აქ უფროსი, მე ვარ ყველაფრის გამგე და პატრონი, ხმას არ ამოგაღებინებთ, თქვენი საქმე მარტო ის არის, რომ კენჭი ჩააგდოთ და გზას გაუდგეთო...

ეს ფილოსოფია რომ არ მოუწონეს და გაალმასებულები მიადგნენ ხმოსნები, როგორ თუ თქვენი საქმე არ არისო, როგორ თუ თხის პატრონს აღარც თხის კუდიო, ენაზედ იკბინეს, თითები მოიკაკვეს და თავის მართლებას შეუდგნენ:

— ასე იყო თხუთმეტს წელიწადს, თვით საბჭომ დააკანონა ასე. პირობას გაძლევთ, ამას იქით არეთი უწესოება აღარ ჩაიდინოთ, მომავალს არჩევანებზედ დავდგამთ 112 ყუთს და ვუბრძანებთ კენჭის ყრის დაწყებასაო...

იმისას-კი აღარას ჰფიქრობენ ეს დალოცვილები: არა, საბჭო რა მეკანონეა მთელის ქალაქისა, ან უმცროსი უფროსს როგორ უბრძანებს კენჭის ყრის დაწყებას!.. ქუდი დადე და სამართალი განაჩინეო, ნათქვამია: სხვისის უფლების ასე ახირებულად მითვისებაც განა სადმე თქმულა და გაგონილა!..

ვიმეორებთ, ეს გმირები ბულანჟისებურ უკულმართს გზას ადგიან და საშიშია, რომ საუკულმართო ჯერსეს კუნძულზედაც ბულანჟესვე არ მიუამხანაგდნენ. ვინ იცის, იქნება აქაც ერთს მიზეზს ერთი და იგივე შედეგი მოჰყვეს. რა იქნება მერე? არაფერი...

ჯერ! ეს კუნძულზედა სდგას დალონებული ბულანჟე, დასცქერის თავისს მერანს და წარსულის დიდების მოგონებაშია. ამ ერთის მეტი მთელს კუნძულზედ ჭაჭანება არ არის ადამიანისა, არაფერი სჩანს, ნისლსა და ბურუსს მოუცავს მიდამო. აგერ ერთის მხრიდგან ორს ეილასაც მოჰყავთ ფეხ-მოკვეთილი დევ-გმირი: ერთი მისი მოადგილეა, მარჯვენა ხელი, მეორე—მდივანი, მარცხენა მკლავი. მეორე მხრიდგან ყმაწვილი კაცი მოხტის, მორიკინებს და ქლარუნებს მოაჩხარუნებს. შეიყრებიან ერთად. ბულანჟე გაოცებით შესცქერის ამ უცნაურს ადამიანებს, ვერა სცნობს. აგერ ფეხ-მოკვეთილმა დაიწყო „ბოკაჩიოს“ ხმაზედ მღერა, მეორემაც ბანი მისცა, ბულანჟესაც იმათსავით ცრემლები წამოუვიდა და მღერას ხმაააყოლა... აბა ყური დავუგდოთ.

ფეხ მოკვეთილი:

ვიყავ ჩემთვის როგორც ტანი...
მითხრეს, გაქვსო ბევრი ტვინი;
მომიწონეს, გამათავეს
და მიხრიდნენ დაბლა თავებს...
ამდენს ხანს ვუკუღმართობდი,
თავს ვუხვევდი, თავს ვართობდი,
ბოლოს ბედს ვერ ვეწიე,
უღელი ვეღარ ვწიე,
ჯერსისკენ გამოვწიე...

—

ახალგაზდა:

მეც ვიყავ ერთხელ დევ-გმირი,
ცხრა ნაბადზედ ვსტებოდი,
დავფრინავდი როგორც სირი,
ზანგს ვეპატრონებოდი.
თუ დამცდოდა კიდევ ხანი,
გავხდებოდი ამირ-ხანი.
დიაღ, ვიყავ დევ-გმირი,
და ეხლა ამას ვსტირი,
ხელთ მომცეს გუდა-სტვირი!..

—

სამივენი ერთად:

სამნივე ვართ დევ-გმირი
და ეხლა ამას ვსტირით,
ხელთ მოგვცეს გუდა-სტვირი-ი-ი!..

დუშ-ი

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, დიდი მადლობა მოვახსენოთ, ჩვენდა რწმუნებულის სკოლის სახელით, აქაურს მემამულეს, პატივცემულს თავადს ზაქარია გიორგის-ძეს ერისთავს, რომელმაც მუქთად დაგვითმო სკოლის საჭიროებისათვის ოცი ხე და საწვავი შეშა თავის ტყიდამ და რომელიც სხვაფრივაც ბევრგვარ შემწეობას აძლევს ამ სკოლას. ზემოხსენებული ოცი ხე დახერხილ იქმნა და სკოლის მთელს ეზოს გარშემო მესერი შემოერტყა.

მასწავლებელი კასპის სერო სკოლისა
ი. ს. ნებაძე

სოფ. კასპი, 19 ნოემბერს, 1890 წ.

## ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა.

(დასასრული*)

### № 14. 1793 წ. მაისის 5.

„ქ. ჩვენ მაგიერად ქეშიკჩიბაშს აბაშიძეს იოანეს მრავალი მოკითხვა ეუწყოს. მერე ამ ჟამად საქვეყნო სარჩევი საქმები გვაქვს. რასას წამს ეს ჩვენი წიგნი მოგივიდეს, მაშინვე უნდა წამოხვიდე; მაგ მხრის თავადები სხვანიც დაბარებულნი არიან და ერთად წამოდით. მაისს ე. ქ-კს უპა. ქ. ჩვენი საკუთარი საქმეებიცა გვაქს და დაგვიანება არ იქნება, ახლავ უნდა წამოხვიდე, არ დაიგვიანო. ათს მაისს უნდა, ჩვენ უნდა შემოგვეყარო [ხელი.]“.

ეს წერილი შეეხება იმ კრებას, ჩემის ფიქრით, რომელიც მოხდა იმერეთის სამეფოს დესპანთა თხოვნით, რათა ქართლ-კახეთის სამეფოს შემოერთებოდა იმერეთის სამეფო. თუმცა განსვენებული პ. იოსელიანი ამ კრებას 1790 წ. აჩვენებს (იხ. ცხ. მეფ. გიორგ. 18—21 გვ.) მაგრამ ამ დროს მთელს იმერეთში საშინელი სისხლის ღვრა იყო შორის მეფეთა დავითისა (ახალციხიდამ) და სოლომონ II; ამ წელს ამისთანა დესპანობისათვის, ეგონებ, არავის ეცალა: მეფე დავითმა დაამარცხა ოსმალ-ლეკის ჯარით მეფე სოლომონ II და გამეფდა იმერეთში. აი ამ დროს, გამეფებას დავითისას, უნდა მოხდარიყოს აღნიშნული შესანიშნავი კრება. 1790 წ. თვით ირაკლისათვის არ იყო დრო მოსვენებისა (იხ. 513 გვ. ქართ. ცხ.) თუმცა ირაკლიმ გაგზავნა ჯარი თავის ძის ძე იოანეს მეთაურობითა და ამ ჯარმა დაამარცხა კიდეც მეფე დავითი ხუნწას, მაგრამ მეფე დავითის 1790 წ. გამარჯვებასა და იოანესგან დამარცხებას შორის ორი წელი მაინც გაივლიდა, თუ წარმოვიდგენთ მაშინდელს სიძნელეს ჯარის შეკრებისასა და მოძრაობისას. ერთის სიტყვით ეს წერილი აღნიშნავს იმ კრებას, როდესაც დიდი ქაბუა ორბელიანი ჰქუხდა თავისის მჭევრმეტყველის ენით ერთობისათვის, ოდესმე ერთობით განგებულთ სამეფოთა ქართლ კახეთისა და იმერეთისა.

### № 15. 1795 წ. ივლისის 27.

„ქ. ჩვენი ბრძანება არის ქეშიკჩიბაშო იოანე. მერე როგორც პირველად შენ კაცი შემოგაწერეთ, ახლავ საჩქაროდ და მდევრულად უნდა გამოიყვანო და ამ თთვის ლ (30:) ჩვენთან გამოცხადდო. ჩვენი შვილი იულონ გაისტუმრეთ და ჩვენ თქვენი მოლოდინი გვაქვს. რასას წამს ჩამოხვალთ, ღვთით ჩვენც წავალთ. რომელიც კაცი იმ პირველის სიიდამ დაგვაკლდება—თავადი, აზნაური და გლეხი კაცი,—არც სასიკვდილოთ დავინდობთ, არც ასაკლებად და არც გასახეიბრებლად შევიბრალებთ. ყველანი სწორეთ გამოდით და სიმართლით მოიქეცით, თორემ ღვთის გულის წყრომა შემოხდება თქვენზედა, ასე იცოდეთ. ივლისს, კზ, ქ-კს უპგ. [ხელი.]“.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს წერილი დაწერილია ერთის თთვისა და თოთხმეტი დღის წინად აღამამადხანისაგან ტფილისის აოხრებისა, სწორედ იმ დროს, როდესაც ყაზმინში გამოაცხადა აღა მამადხანმა საქართველოზედ გამოლაშქრება, და ამ ხმამ ერეკლე მეფემდისაც მიაღწია. (იხ. „ივერია“ 1885 წ. № 2. 95 გვ.) ამ წერილის კილო ცხადად გვაჩვენებს—რა სასტიკად უბრძანებს ერეკლე მეფე ჯარის შეკრებას; ეტყობა დიდი თადარიგი მტერთან ბრძოლისათვის, ჰგრძნობს მტრის სიმძვინვარეს, საშიშს მდგომარეობას. როგორც გამოცდილი მეომარი, მეფე ირაკლი წინა დღითვე ემზადება და რაღაც წინასწარი გრძნობა აღელვებს: ვინც დაგვაკლდება სიით თავადი, გლეხი, აზნაური—„სასიკვდილოთ არავის დავინდობთო“. მეფე ირაკლი 1796 წ. აპრილის 22—30 საომრად მიდის ჯარით კახეთზე და კარდანახზე ჩაელას აპირებს, როგორც სჩანს სხვა წერილიდამ.

დანარჩენი წერილები შეეხება სამართლის წარმოებას. ამისათვის იგი წერილები რიგზედ დაიბეჭდება შემდეგ.

სანატრელია, რომ ამ გვარი წერილები აღმოჩნდნენ მრავლად შესანიშნავ პირთ მემკვიდრეთა ოჯახებში, მაგ—თ. ორბელიანთ სახლში, სადაც დაცულნი უნდა იყვნენ დავით სარდალთან მიწერილნი ქაღალდები; მუხრანიანთ ოჯახში, მიწერ-მოწერა იოანე მუხრან ბატონთან და სხ. დასასრულ გულითადს მადლობას ვუძღვნით. ზაქარია და ნიკოლოოზ ილიას ძე აბაშიძეებს, რომელთაც გადმომცეს გადასაწერად ზემოდ აღნიშნული წერილები მეფე ირაკლისა.

მღვდ. პ. კარბელაშვილი
31 ოქტომბერი 1890 წელს.
სოფ. გურჯაანი.

*) იხ. „ივერია“ №№ 240 241 და 242.

# რუსეთი

6 ნოემბერს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება „ღარიბ გადასახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებისა“. ეს საზოგადოება შემდეგს ღონის ძიებას იხმარებს გადასახლებულთა დასახმარებლად: 1) იმ ადგილებში, სადაც გადასახლებულნი იკრიბებიან, დააარსებს თავშესაფარებს, სასადილოებსა და ამასთანავე მკურნალსაც იყოლიებს ავადმყოფთა მოსავლელად. 2) თუ გადასახლებულს გაუჭირდება ან გზაში, ან ბინაზე მისვლის დროს, საზოგადოება დაეხმარება ნივთებითა და ფულით და შეიძლება სესხითაც გაუმართოს ხელი, 3) მხარს მისცემს სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათაც, რომელსაც-კი საგნად აქვს გადასახლებულების დახმარება და 4) იმ ადგილებში, სადაც გადასახლებულები მიდიან საცხოვრებლად, საზოგადოება გაჰმართავს სკოლებსა დაააშენებს ეკკლესიებს. საზოგადოება პეტერბურგში არსებობს, მაგრამ ნება აქვს, თუ საჭიროება მოითხოვს, სხვა ქალაქებშიაც გაიმართოს განყოფილებები. დამფუძნებელი წევრი სულ 12-ა, ხოლო საპატიო და ნამდვილ წევრთა რიცხვი განსაზღვრული არ არის. საპატიო წევრად ისინი ჩაირიცხებიან, ვინც 100 თუმანზე ნაკლებით არ დაეხმარება საზოგადოებას, ნამდვილი წევრის გადასახადი-კი წელიწადში ერთი თუმანია. საზოგადოების საქმეებს ცალკე კომიტეტი განაგებს, რომელიც 7 წევრისაგან არის შემდგარი.

ამ ნაირი საზოგადოების დაარსების ამბავი აშკარაა იმას ჰნიშნავს, რომ მთავრობას დიდი ყურადღება მიუქცევია გლეხების გადასახლების საქმისათვის და ფრიად საყურადღებო საგნად ჩაუთვლიათ ეს საგანი. კაცი რომ ჩაუფიქრდეს, მართლაც რომ ძლიერ სამწუხარო ამბავი ხდება რუსეთში. თავისუფალი, დაუსახლებელი ადგილები რუსეთის ოდენა თითქმის არც ერთს სხვა სახელმწიფოს არა აქვს და ხალხი-კი რუსეთიდგან სხვაგან მიდის საცხოვრებლად. რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება? ნუ თუ სხვა სახელმწიფოში უფრო უკეთესად იცხოვრებს და მეტს შეიძენს რუსეთიდგან გადასახლებული გლეხი? არასოდეს. ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ გლეხმა თითონ არ იცის, სად წავიდეს, სად არა და საითაც სხვა უჩვენებს გზას, იქით მიდის დასასახლებლად. რუსი გლეხი უცხო სახელმწიფოში ვერაფერს ვერას გახდება, რადგანაც არც ცოდნა შესწევს არც მოხერხება და არც არაფერი სარჩო არა მიაქვს-რა თან, რომ პირველში, რამდენსამე ხანს მაინც, ირჩინოს თავი. ამიტომ ფრიად სასიამოვნო ამბად უნდა მიიჩნიონ რუსეთის მკვიდრთ ამ საზოგადოების დაარსება, უნდა ეცადნენ, სუყველაფრით დაეხმარნენ და ხელი შეუწყონ, რომ რუსეთის გლეხებს უცხო ქვეყნებში გადასახლებაზე ხელი აალებინონ და შიგ რუსეთშივე დააბინაონ და დაასახლონ. ამასთანავე ისიც უნდა მიიღონ მხედველობაში გადასახლებულთა გულ-შემატკივართ, რომ არც შიგ რუსეთში ერთის ადგილიდგან მეორე ადგილზე გადასახლებაა გლეხებისთვის ადვილი. გაზაფხულიდგან დაწყებული პირველ ივლისამდე ქალაქ ტიუმენში 489 კაცი მოკვდა გადასახლებულებისა, რომელიც ციმბირში მიდიან ხოლმე და დროებით აქა ჩერდებიან. ეს ამბავი მხოლოდ ერთს ადგილას მოხდა და ისიც ქალაქში, სხვაგან უფრო უარესი იყო და არის. ვინ ჩამოსთვლის რა გაჭირვება და განსაცდელი უნდა გამოიაროს აყრილმა და უცნობ ადგილას მიმავალმა გლეხის ოჯახმა. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო არც იმის განსამარტავად, რა სიკეთის მოტანა შეუძლიან ამ ახალს საზოგადოებას, და არ იმისთვის, თუ რა გაჭირვებაშია გადასახლებული გლეხი. ეს ყველასათვის ადვილად გასაგები და მისახვედრია, მხოლოდ ისაა სასურველი, რომ თანამგრძნობი ბევრი გამოუჩნდეს ამ ახალს საზოგადოებას, შეწეობა აღმოუჩინონ, ზურგი გაუმაგრონ და შეაძლებინონ, რომ საზოგადოებამაც თავის მხრით ხელი მიაშველოს გაჭირვებულს გადასახლებულებს და ცოტათი მაინც არის შეუმსუბუქოს მძიმე ტვირთი.

# წვრილი ამბები

პარიჟის ერთს სამკურნალოში შემდეგი ამბავი მოხდა. ახალგაზდა ავადმყოფ ქალს ისეთი ძლიერი ისტერიკა (სიცილ-ტირილი) მოუვიდა, რომ ვეღარაფრით ვეღარ შეაყენეს და მკურნალები იძულებულნი გახდნენ „გიპნოტიზმით“ დაეძინებინათ. მძინარე ავადმყოფმა ქალმა დაიწყო და ერთის კაცის მოკვლის ამბავი სთქვა, რომელშიაც თითონაც მიეღო მონაწილეობა. როცა გამოეღვიძა და უამბეს, ძილში შენ ესა და ესა სთქვიო, ქალი საშინლად შეკრთა, აღელდა, მაგრამ ბოლოს-კი გამოტყდა, რაც მითქვას, სუყველაფერი მართალიაო. ქალი ეხლა დაპატიმრებულია და გამოძიება სწარმოებს იმ ნაამბობ მკვლელობისა.

— ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ალბერტმა, რომელიც შესანიშნავი დოსტაქარია, ლექციის კითხვის დროს უთხრა თავის სტუდენტებს: „წყნარად იყავით, ნუ ღელდებით იმის გამო, რომ პროფესორმა კოხმა უებარი წამალი დასდო ჭლექსა.“ ეხლა ყოველგან ხალხი აღელვებულ-აშფოთებულია და გადაჭარბებით ლაპარაკობს და გადაჭარბული იმედიც აქვს ამ წამლისა, თუმცა საქმე-კი ცოტა სხვანაირად არის: კოხის წამალი მხოლოდ ახლად გაჩენილს ჭლექსა რგებს და დიდის ხნისას საამისოდ ვერასა ჰშველის. მიუხედავად ამისა ავადმყოფებს სასწაულმომქმედად მიაჩნიათ კოხის მოგონილი წამალი და დიდის იმედით გატაცებულნი მიილტვიან ბერლინისკენ. თუ მკურნალებმაც გადაჭარბებით ვილაპარაკეთ და ჩვენც გავაზვიადეთ საქმე, მაშინ სწორედ არა სასურველი და ცუდი შედეგი მოჰყვება ამ ამბავს. როცა ავადმყოფებს თავისი უსაფუძვლო და უსაბუთო იმედები გაუცრუვდებათ, მერე სხვა ნაირად მოჰყვებიან ლაპარაკს და მატყუარებს გვიწოდებენ, მძარცველად და მუცლეფლეთად დაგვსახავენ. ამ ნაირი მღელვარება და გატაცება, რომელიც ეხლა ევროპაში ჰსუფევს, სასურველი მდგომარეობა არ არის. შეიძლება საქმე სხვა ნაირად დატრიალდეს და ყველამ ქება-დიდების მა-

გიერ ლანძღვა გინებით მოიხსენიოს მართლა ღირს შესანიშნავი და სასარგებლო მოგონილება კოხისაო“.

— პარიჟის მებანკეებმა ამ ბოლოს დროს რაღაც ხრიკებს მოჰკიდეს ხელი, რომ საზოგადოება როგორმე ჩაირიონ და ხელი მოითბონ. გაზეთები აჭრელებულია ამ გვარის განცხადებებით სხვა-და-სხვა მებანკესაგან: „თუ ადვილად გამდიდრება გინდათ, შემოიტანეთ ამა და ამ ბანკში 100 ფრანკი და 5 დღეს შემდეგ 3000 ფრანკს მიიღებთ თქვენს ფულში. თუ მაინცა და მაინც ეს არ მოხდება, თქვენს 100 ფრანკს უნაკლებოდ უკანვე დაგიბრუნებენ“. ამ ნაირი განცხადება ძლიერ ბევრია, მაგრამ პარიჟელები როგორღაც ცერად უყურებენ და არ ენდობიან.

— ბერლინის გაზეთები იუწყებიან, იმდენი ავადმყოფები მოაწყდა ჩვენს ქალაქს, რომ სასტუმროებში ტევა აღარ არისო. ავადმყოფებთან ერთად მკურნალიც მრავალი მოდის კოხის მიერ მოგონილის ჭლექის წამლობის შესასწავლადაო.

# დეპეშა

20 ნოემბერი

ბერლინი. რუსეთიდგან ლორების შემოყვანა ტორონზეიტენსა და მისლოვიცაში ქალაქში დაუყოვნებლივ დასახოცად დროებით ნება-დართულია.

21 ნოემბერი

პეტერბურგი. რუსეთის ელჩი ბერლინში დეპეშით იწერება, რომ ბოროტ-მოქმედების ასაცილებლად, გერმანიის მთავრობა მალე აუკრძალავს კერძო კლინიკებს, მიიღონ ჭლექით ავადმყოფნი და კოხის წესით უწამლონო. ამისათვის საჭიროა, დროებით შესწყდეს რუსეთიდამ გზავნა ლარიბ ავადმყოფებისა ბერლინსაო.

22 ნოემბერი

პეტერბურგი. დამტკიცებულია წესდება საურთიერთო დახახმარი თანხისა, რომელიც უნდა არსებობდეს ლიტერატურულ ფონდთან. წესდება შემუშავებულია პუბლიცისტი გრადოვსკის აზრის თანხმად.

გუშინ მოვიდა პეტერბურგში საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი მეფელითურთ. ვაგზალზე მიეგება ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი და წევრნი საიმპერატორო გვარეულობისა. საპატიო ყარაული იყო იზმაილის პოლკისაგან, რომელსაც უფროსობდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ნოემბერი.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 85 | 6 88 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 137¼ | 137¾ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 239½ | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 216 |
| —მესამისა | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | 212¼ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვალზე გემები.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩაბლიძის—დიმელისა | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „ | 25 |
| გორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა | „ | 40 |
| იაენანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 80 |
| გრამატიკა ჟორდანიასი | „ | 55 |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა — ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს — სამ აბაზად, ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

## კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.




ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—61)

გამოვიდა და ისყიდება რუსულის ენის სახელმძღვანელო, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ:

## „РУССКОЕ СЛОВО“

или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ, часть первая, подготовительныя ступени.

გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალის სურათებით და რუსული დედნით.

## ფასი ექვსი შაური

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს ცალსა, ან მეტსა, მას წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის უნდა დაუმატონ სამი შაური.

ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ტფილისში, კუკიის ხიდის ყურთან, და სხვა მაღაზიებშიაც.

მეორე ნაწილიც „Русское Слово“-სი იბეჭდება და დეკემბერში უთუოდ გამოვა სტამბიდგან. (3—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Доз. цен. Тифлисъ, 22-го Ноября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე